MES 7 22 0001619182

16/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02. 12. 2022
სხდომის დაწყების დრო: 14:55 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:30 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ეკატერინე ნაცვლიშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი.
2. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
3. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
4. **თამარ სირაძე** - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დაგრში.

5. **ირინა გველესიანი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
6. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი.
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცნო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი.
8. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე.
9. **ლევან მოსახლიშვილი** - სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში.
10. **თეა ჭედლური** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
11. **თამარ ზარანდია** - სსიპ ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.
12. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ედვინი სირბილაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირაკლი ბრაჭული	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	პაპუნა გურული		დეკანი	I
3	ზურაბ ბერია		პროგრამის ხელმძღვანელი	
4	მიხეილ ტეფნაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
5	პაატა გოგიშვილი			

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
6	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
7	ზურაბ გვიშიანი		დეკანი	
8	ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
9	მარინა ჯავახიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
10	ზურაბ პაპასკირი		ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მიშა გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ინგა ლომაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	შალვა მესხი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ტაბატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II,III
8	თეიმურაზ ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) აკრედიტაციის საკითხი.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩატარებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების გ ა ნ ხ ი ლ ვ ა .
4. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, თამთა მოხევიშვილი. მისი შუამდგომლობა ეხებოდა შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადებას, ვინაიდან საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს ჰქონდა უნივერსიტეტთან თვითაცილება, უსდ-თან შრომითი ხელშეკრულების არსებობის გამო, რის შედეგადაც დადგა ქვორუმის არარსებობის საკითხი, რამაც გამოიწვია საკითხის გადადების საჭიროება. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა არც საბჭოს თავმჯდომარე და არც მისი მოადგილე, საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის თავმჯდომარედ ეკატერინე ნაცვლიშვილის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა გადაიდო საბჭოს მომდევნო სხდომისთვის, საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ კი განისაზღვრა საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური),

სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) აკრედიტაციის საკითხი.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩატარებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) აკრედიტაციის საკითხი.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	არ ენიჭება
10		მოდულები:

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური) მათემატიკა (დაწყებითი საფეხური) ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური) გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური) სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მუსიკა
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით 0114
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 კრედიტი
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი No53 ა, თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მიხეილ გიორგაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა დაწესებულებას თანამშრომლობისთვის. მან აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამა შეფასდა დარგობრივ მახასიათებელთან და აკრედიტაციის სტადარტებთან მიმართებით. გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი მხარეები. გაიცა რეკომენდაციები, რომლის შესრულება გააუმჯობესებს პროგრამას. მისი თქმით, ძლიერი

მხარეები გამოიხატა იმაში, რომ პროგრამის განხორციელებასა და შემუშავებაში დაგეგმილია დარგის გამოცდილი სპეციალისტების ჩართვა. ისინი არიან ექსპერტები, საგნობრივი მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერები, პრაქტიკოსი მასწავლებლები, დირექტორები და აკადემიური პერსონალი. ძლიერ მხარედ გამოიკვეთა მატერიალური რესურსიც, რომელიც მყარი მხარდამჭერია პროგრამის განხორციელებისა და შემუშავების პროცესში. მან ასევე აღნიშნა, რომ ინტერვიუებმა დაადასტურა პერსონალის ჩართულობა პროცესში, რომლებმაც გამოავლინეს თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც აისახა პროგრამის შინაარსზეც. მისი თქმით, შეფასებისას ასევე გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკა პრაქტიკის კომპონენტის კონცეფციისა და განხორციელებისადმი. ამ პროგრამაში პრაქტიკა დაგეგმილია მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ კურსებში ჩაშენებული ფორმატით და არა დამოუკიდებელი კურსის სახით. მიხეილ გიორგაძის თქმით, დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების გამოცდილება. ამ გამოცდილებას ეყრდნობოდა დაწესებულების არგუმენტაციაც. ექსპერტმა აღნიშნა ისიც, რომ ასეთი ფორმატით პრაქტიკის განხორციელება მნიშვნელოვანია და მჭიდრო კავშირშია იმ სასწავლო კურსის ლექტორებს შორის, რომელთა კურსებშიც გათვალისწინებულია პრაქტიკა. ეს არის ერთიანი პროცესი,ვრომელიც არ მიდის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საუკეთესო პრაქტიკაში ვხვდებით როგორც ჩაშენებულ, ისე დამოუკიდებელ კურსებს. მისი თქმით, რეკომენდაციები გამომდინარეობდა აკრედიტაციის სტანდარტებიდან და დარგობრივი მახასიათებლებიდან. დარგობრივ მახასიათებლებთან მიმართებით რაიმე შინაარსობრივი შეუსაბამობა არ დადასტურდა, რადგან პროგრამა ფარავს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი მოიაზრებდეს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მიზნებს, რაც გაიზომება და მიღწევის მაჩვენებელი გაანალიზდება სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით. მან ასევე აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტები წარმოდგენილია როგორც საუნივერსიტეტო, ისე პროგრამის ფარგლებში. ამ დოკუმენტების განხილვის შემდეგ გაჩნდა შთაბეჭდილება იმისა, რომ შეფასების პერიოდულობა ბუნდოვანია. სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნაა, განისაზღვროს თუ რა პერიოდულობით არის დაგეგმილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. მიხეილ გიორგაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ინტერვიუების დროს ექსპერტებმა ვერ მიიღეს პასუხი იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რა მეთოდოლოგიას ეყრდნობოდა სამიზნე ნიშნულების შერჩევა, რომელიც გამომდინარეობდა აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებიდან. მისი თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმების პირობებში, არ არის მითითებული პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა, რაც ასევე აკრედიტაციით სტანდარტებით არის მოთხოვნილი. რეკომენდებულია, სკოლებთან თანამშრომლობის შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვროს აღნიშნული პირობა. მან ასევე აღნიშნა, რომ შუალედური გამოცდების ფარგლებში არ არის დადგენილი მინიმალური ზღვრები. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, მიხეილ გიორგაძემ შენიშვნის სახით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ ძირითად ლიტერატურაში, რეკომენდებულია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ სალექციო საკითხებთან მიმართებით, ინტერნეტგაზეთის “Mastsavlebeli.ge“-ის სტატიების გარდა, სილაბუსის ლიტერატურული წყაროები შეივსოს ამ საკითხთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებით, ან/და სპეციალურად შეიქმნას რიდერი/ სალექციო კურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი პაატა გოგიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. სწავლის შედეგების პერიოდულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის არ არის მითითებული პროგრამაში იმიტომ, რომ პროგრამა ერთწლიანია და დაწესებულება ვარაუდობს, რომ წლის ბოლოს

მოხდება მასში ცვლილება ისე, როგორც სტანდარტი მოითხოვს. მისი თქმით, მემორანდუმების ტექსტებში არსებობს ასეთი ჩანაწერი, რომ პრაქტიკის ობიექტები ვალდებულებას იღებენ იმაზე, რომ სტუდენტს გაატარებენ პრაქტიკას იმ ხანგრძლივობით, რომელიც გათვალისწინებულია სილაბუსებით. დაწესებულებას ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ დაიხვეწებოდა პრაქტიკის კომპონენტი. ამ კომპონენტმა დიდი გზა განვლო, დაიხვეწა და ჩამოყალიბდა იმგვარად როგორიც ამ დროისთვის არის წარმოდგენილი. უნივერსიტეტს ასამდე სკოლასთან აქვს პრაქტიკა, თუმცა მემორანდუმში არ არის მოცემული ინფორმაცია ამის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ ბერიამ აღნიშნა, რომ პროგრამა 5 წელია ფუნქციონირებს, რაც გულისხმობს იმას, რომ დიდი გამოცდილება აქვს პრაქტიკასთან მიმართებით. მისი თქმით, ბევრი რამ შეიცვალა ახალ პროგრამაში და რეკომენდაციების მიღების შემდეგ დაწესებულებამ რამდენიმე საკითხს განსხვავებულად შეხედა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ კომპეტენციის ზღვრები რამდენიმე საგანში გამორჩენილია. სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა სილაბუსებში გაწერილია და პროგრამაშიც მოცემულია. მისი თქმით, არის სკოლები რომლებიც ფუნქციონირებას ახორციელებენ სხვა სკოლაში მიმდინარე რემონტის გამო. როგორც ზურა ბერიამ აღნიშნა, მან ვერ გაიგო კოლეგიურ შეფასებათან დაკავშირებული შენიშვნა რეკომენდაციაა თუ რჩევა? ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის მიხეილ გიორგაძის თქმით, კოლეგიურ შეფასებასთან დაკავშირებით არის რჩევა და არა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავჯდომარემ ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას მინიმალური კომპეტეციის ზღვრებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ტექნიკური ხარვეზის გამო იყო გამორჩენილი რამდენიმე საგანში აღნიშნული ზღვრის მითითება., რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ ბერიამ უოასუხა, რომ რამდენიმე სილაბუსებში მინიმალური კომპეტეციის ზღვრები დადგენილია, თუმცა მისივე თქმით,"სწავლების მეთოდიკაში" არ არის და საკითხი ახლო მომავალში გამოსწორდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:13
დასრულების დრო: 15:18

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა), მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2025 წლის 1 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1.1 გადაიხედოს პროგრამის მიზნები. რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი მოიაზრებდეს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მიზნებს, რაც გაიზომება და მიღწევის მაჩვენებელი გაანალიზდება სტუდენტების მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით.
1.2 რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია.
2.3 თეორიული საკითხების ღრმად შესწავლის მიზნით, სასწავლო კურსში „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ ძირითად ლიტერატურაში დაემატოს შესაბამისი სახელმძღვანელოები ან შეიქმნას ე.წ. რიდერი / სალექციო კურსი.
2.4 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმის პირობებში არ არის მითითებული პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა. რეკომენდებულია, სკოლებთან თანამშრომლობის შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვროს აღნიშნული პირობა.
2.6 ·რეკომენდირებულია საგნის/საგნობრივი სწავლების მეთოდიკის კურსებში, (ჩაშენებული პრაქტიკით) დადგინდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

რჩევები:

- ტექნიკური უზუსტობების გასწორების მიზნით, გადაიხედოს სასწავლო გეგმა და შესაბამისობაში მოვიდეს ის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ მონაცემებთან;
- სასურველია, სასწავლო კურსებში: „სწავლება და შეფასება“, „ქართულის (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „ბუნებისმეტყველების (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“, „დემოკრატიული განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინტეგრირებული სწავლების პრინციპები“ განისაზღვროს დამატებითი ლიტერატურა.
- სასურველია, სილაბუსებში მითითებული ელექტრონული წყაროები გადაყვანილი იყოს ქსელური წვდომიდან ლოკალურ წვდომაზე და დაფიქსირებული იყოს ელექტრონულ მატარებელზე (CD და DVD-დისკზე ან სხვ.) და იყოს შენახული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, აგრეთვე სილაბუსებში ელექტრონული რესურსები მითითებული იყოს ბიბლიოგრაფიული აღწერის წესით.
- სასურველია, დამატებითი ლიტერატურის ფარგლებში განისაზღვროს წყაროები მხოლოდ ქართულ ან/და უცხოურ ენაზე ადაპტირებული თარგმანით;

- სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის/რეაკრედიტაციის ეტაპზე შემუშავებული პროგრამების კოლეგიალური შეფასება განახორციელოს დარგის სპეციალისტმა/სპეციალისტებმა.

2.მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკირი უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერია Civil Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში Bachelor of Science in Civil Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია 0732
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. No 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნინო დონდოლაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. მისი თქმით, პროფესიულ მასწავლებელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. აკადემიურ საქმიანობასთან ერთად ისინი ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას წამყვან ორგანიზაციებში. მან ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური პროფესორი, რომელსაც მრავალწლიანი სამეცნიერო პედაგოგიური სტაჟი და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, დაწესებულება ხელს უწყობს პროგრამის განმახროციელებელ პერსონალს ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნირეო კონფერენციებში მონაწილეობაში, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებასა და სტაჟირების გავლაში საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მისი თქმით, აკადემიურ პერსონალს ჰქონდა ისეთი შესაძლებლობა, რომ ესწავლათ და ჩაეტარებინათ ლექციები პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრენინგის მიზნით. აღნიშნული აქტივობის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა პარტნიორ უნივერსიტეტებში. ექსპერტმა გიგა ხოსტიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამასთან მიმართებით 4 რეკომენდაცია იყო გაცემული. აქედან სამი რეკომენდაცია უკავშირდებოდა ბიბლიოთეკის ნაწილს. მისი თქმით, ლიტერატურა მოცემული იყო ელექტრონულ ფორმატში. ამის თაობაზე დაწესებულებამ წარმოადგინდა არგუმენტირებული პოზიცია, რომ ის გეგმავს და იზიარებს რეკომენდაციას ეტაპობრივად ახალი ლიტერატურის შეძენის თაობაზე. მან ასევე აღნიშნა,რომ რეკომენდირებული იყო ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის მიღმა და მათი გამოყენების ინსტრუქციები/გაიდლაინები განთავსებული იყოს საიტზე. გიგა ხოსიტაშვილის თქმით, რადგან პროგრამა არის ინგლისურენოვანი, სტუდენტებისთვის არ იქნება რთული სამეცნიერო ბაზების გამოყენება. მან აღნიშნა, რომ ადგილზე ინახა ყველა ის ლაბორატორია, რომელიც ინსტიტუციას გააჩნია. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის ნინო დონდოლაძის თქმით, ის ხარვეზები რომლებიც გამოიკვეთა პროგრამაზე მუშაობისას, წაადგება პროგრამას. გარდა ამისა, რამდენიმე რეკომენდაცია ამოღებული იქნა იმიტომ, რომ უნივერსიტეტის არგუმენტირებული

პოზიცია დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის სქემის დოკუმენტის წარმოდგენა. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა წარმოდგენილ რეკომენდაციას და მიიჩნია, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი მისაღებია და ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია ამოღებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან იმიტომ, რომ უნივერსტიტეტმა დანართის სახით წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი. მისი თქმით, რეკომენდებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელმა შესაძენი სახელმძღვანელოების ნუსხა გადასცა სტუ-ს შესაბამის სამსახურს, გარკვეული მათგანის შეძენა უკვე განხორციელდა, ხოლო დანარჩენის შეძენა მოხდება ეტაპობრივად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე. მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა განმარტა, რომ ვიზიტის შემდეგ განახორციელდა 4 სახელმძღვანელოს შესყიდვა და აღნიშნა, რომ ეს პრაქტიკა ასევე გაგრძელდება მომავალშიც. რადგან აღნიშნული სცდება მიმდინარე საანგარიშო პერიოდს, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ რეკომენდაცია უნდა დარჩეს უცვლელად. როგორც ნინო დონდოლაძემ აღნიშნა, რეკომენდებულია ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის მიღმა და მათი გამოყენების ინსტრუქციები/გაიდლაინები განთავსებული იყოს საიტზე. მისი თქმით, უნვერსიტეტმა წარმოადგინა სამეცნიერო ბაზებთან წვდომის შესაძლებლობები და ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა შესაბამისი ლინკი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, ისინი უზრუნველყოფენ წვდომას სამ სამეცნიერო ბაზაზე, აქედან ერთი არის სამართლის მიმართულებით, მეორე მხოლოდ ბიბლიომეტრული ანალიზისთვის გამოიყენება. იმისთვის, რომ მოცემული პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შეუფერხებლად ისარგებლონ სამეცნიერო ბაზებით, აუცილებელია მოკლე გზამკვლევებისა და ინსტრუქციების განთავსება და ასევე, უნივერსიტეტის მიღმა წვდომის უზრუნველყოფა. შესაბამისად, რეკომენდაცია დარჩა უცვლელი. ამას გარდა, რეკომენდებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან. მისი თქმით, უნივერსიტეტმა დააფიქსირა თავისი პოზიცია. სტუ-ს ბიბლიოთეკა აქტიურად ატარებს ტრენინგებს ინფორმაციის მოძიების, სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის და სხვა შესაბამის საკითხებზე, თუმცა დაწესებულებამ განმარტა, რომ ასეთი ტრენინგი ჩატარდა 2022 წლის 18 ოქტომბერს. ტრენინგის დასწრების ფურცელი წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია არის ის, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა პოზიცია, რომ ტრენინგები ტარდება წინასწარ განსაზღვრული სიხშირით უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტისთვის, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია შეეხებოდა კონკრეტულად სამშენებლო ფაკულტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ მომზადებულ ტრენინგებს, ვორქშოპებს, რაც საშუალებას მისცემს როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს უკეთ დაგეგმოს სასწავლო პროცესი, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა უცვლელად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ვაჟა პაპასკირი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით მან ვარაუდი გამოთქვა, რომ ექსპერტი გიგა ხოსიტაშვილი ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებაში იყო შემოწმების დროს. მისი თქმით, სადაც ის იმყოფებოდა არის ერთ-ერთი მცირე ფილიალი, რომელიც ყველა ფაკულტეტზე მოქმედებს. დაწესებულებაში 14 ფილიალია. ცენტრალური ბიბლიოთეკა არის მთავარ კორპუსში, რომელიც მოიცავს 5,5 მილიონ წიგნს და 180,000 ელექტრონულ ერთეულს. მან ასევე აღნიშნა, რომ ყოველ წელს დაწესებულება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან საჩუქრად იღებს 10,000 წიგნს

გამომცემლობა „ნოვადან“ ყველა დარგში. მისი თქმით, ექსპერტი რომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მისულიყო, გაუგებრობა არ მოხდებოდა. რაც შეეხება ბიუჯეტს, ბიბლიოთეკას განუსაზღვრელი აქვს ნებისმიერი წიგნისთვისა და შრომისთვის. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის საერთაშორისო ელექტრონული და ბეჭდური წიგნები. მან ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დაწესებულებას აქვს 8 ბაზასთან წვდომა, მათ შორის "Scopus"-თან, რომლის თანხასაც უნივერსიტეტი იხდის. ნებისმიერი სტუდენტი რეგისტრირდება მასზე ელექტორნულად. ასევე, წიგნების შეკვეთა და გაგზავნა ხდება ელექტრონული ფორმით. ტრენინგებთან დაკავშირებით ვაჟა პაპასკირმა განმარტა, რომ ტრენინგები ტარდება ყოველდღე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის ერთ-ერთი უნიკალური მთელს ქვეყანაში და მისი მსგავსი ძალიან ცოტაა არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაში. მის უნუკალურობას ყველა ევროპელი სტუმარი ადასტურებს. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ზოგადი მონაცემები შთამბეჭდავია, მაგრამ დაწყებულია წიგნების შესყიდვის პროცესი. მისი თქმით, ბიბლიოთეკას ჰყავს სპეციალური თანამშრომელთა ჯგუფი გამოყოფილი და ყოველდღე ტარდება ტრენინგები, რომლის დამსწრეთა რაოდენობა გათვლილია 10-15 სტუდენტზე. ექსპერტის გიგა ხოსიტაშვილის თქმით, ის გარემოებები რომლებიც დასკვნაში არის მოცემული, ინტერვიუების შედეგია. გასაუბრება მოხდა პროფესორებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და ა.შ. სწორედ ამან განაპირობა იმ რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც დასკვნაში არის მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებასა და ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში რამდენიმე სილაბუსი მოცემულია ისე, რომ შედეგების რუკაც ჩანს. მას აინტრესებდა, გადის თუ არა სტუდენტი სწავლის შედეგზე თუ ის არჩევითი ბლოკიდან აირჩევს საგანს? მისი თქმით, პრაქტიკის სილაბუსი მასალებში არ არის მოცემული. მას აინტრესებდა, დაწესებულებას აქვს თუ არა ის და როგორ ხორციელდება? საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა იყო თუ არა მითითებული სილაბუსში ის სახელმძღვანელოები, რომლებიც დაწესებულებამ მოითხოვა? გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გადაამოწმა თუ არა ბაზაში ამ ლიტერატურების არსებობა თუ მხოლოდ ფაკულტეტის მონაცემებს დაეყრდნო? ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ერთი ელექტრონული კატალოგი, რომელშიც ჩანს თუ რომელი წიგნები არის ფაკულტეტზე და ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მისი თქმით, წიგნების პრობლემა არ იყო როგორც ფაკულტეტის, ისე ელექტრონულ დონეზე. ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერსებდა როგორ ხდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვა და განსხავდება თუ არა დაცვის პროცედურა სხვა პროგრამებისაგან? გარდა ამისა, როგორ შეფასდა პროგრამის მე-6 და მე-7 სწავლის შედეგი? დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა არის შექმნილი „ABET“ აკრედიტაციის მიზნებისათვის, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში მუშავდება. მისი თქმით, დაწესებულება ცდილობს, რომ სტრქუტურა ედრებოდეს „ABET“ აკრედიტაციის მქონე პროგრამებს. სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები და დარგის პროპორციები წარმოდგენილი პროცენტული გადანაწილებით უნდა ედრებოდეს „ABET“ აკრედიტაციის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. როგორც მან აღნიშნა, ყველა სასწავლო კურსს აქვს სწავლის შედეგი, მაგრამ მეორე არის პროგრამის სწავლის შედეგის ფორმირებაში არჩეული სასწავლო კურსების როლი. მისი თქმით, წარმოდგენილ დოკუმენტში არჩევითი სასწავლო კურსები სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილეობას არ იღებენ. ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილება და ანალიზი ამ კუთხით არჩევით სასწავლო კურსებს არ ეხება პროგრამის საწვლის შედეგების გაზომვის თავლსაზრისით. მისი თქმით, სტრუქტურა იმ ფორმით არის წარმოდგენილი რა ფორმითაც ითვალისწინებს შიდა რეგულაცია და „ABET“ აკრედიტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე დავითაშვილმა განმარტა, რომ სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს

ერთი სხვა მიმართულება ან ამ საგნის მიმართულება. ასეთ სტანდარტს ითხოვს „ABET“ - ი. როგორც მან აღნიშნა, პროგრამასა და საგნებს აქვს მუდმივი გაუმჯობესება ე.წ „Continuous improvement” და ეს განასხვავებს დაწესებულების აკრედიტაციის წესებს სხვა აკრედიტაციის წესებისაგან. მისი თქმით, ნიშნულის შემთხვევაში 70%-მა თუ გადალახა 82 ქულა ეს იმას ნიშნავს, რომ კურსი კარგად ჩატარდა. სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 60 საათს გადის სტუდენტი სემესტრის განმავლობაში და მაქსიმალური ჯამური შეფასება არის 60 ქულა, ხოლო მინიმალური 30 ქულა. სტუდენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, ინდივიდუალურად წარმოდგენილი სასწავლო პრაქტიკის დღიურის მიხედვით, რომელიც ყოველ სტუდენტს უფასოდ გადაეცემა პრაქტიკაზე გამგზავრების წინ. მან ისიც აღნიშნა, რომ ამ დღიურით სტუდენტი თავის ხელმძღვანელთან ერთად მიდის პრაქტიკის ობიექტზე, სადაც მათ დახვდებათ მენტორი. მისი თქმით, პრაქტიკის სილაბუსში ეს ყველაფერი კარგად არის გაწერილი. დავით მახვილაძემ ელექტრონულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა ლიტერატურა არის ონლაინ რეჟიმში, სტუდენტთათვის ხელმისაწვდომ დონეზე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს “Vici.gtu.ge” და “E-learning” ბაზები. მისი თქმით, ბეჭდური ვერსიების პროცესი დაწყებული იყო და რეკომენდაცია არ ჩაითვალა შესრულებულად იქიდან გამომდინარე, რომ პროცესი არ იყო დასრულებული. დაწესებულების წარმომადგენელმა თინათინ დათიაშვილმა მე-6 და მე-7 სწავლის შედეგების გაზომვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს დანართის სახით წარმოდგენილი აქვს სრული რუკა იმასთან დაკავშირებით თუ რომელი სილაბუსი სწავლის შედეგს რა დონეზე ავითარებს. მისი თქმით, ეს პროგრამა წარმოადგენს „ABET“ აკრედიტებული პროგრამის ანალოგს და სწავლის შედეგის ფორმულირებასა და გამოხატვაში დაწესებულებას არა აქვს უფლება, რაიმე ცვლილება შეიტანოს. მისი განვითარების წესიცა და მეთოდოლოგიის აღება ანალოგიდან მოხდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მე-6 სწავლის შედეგთან დაკავშირებით დაწესებულებამ გაითვალისწინა ამერიკელი კოლეგების პრაქტიკა. თითოეული სილაბუსის ფარგლებში ჩადებულია გუნდური მუშაობის პრინციპი. მისი თქმით, შეფასებაში ისიც ფასდება, თუ რამდენად გუნდურად იმუშავა ჯგუფმა გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. გარდა ამისა, პროგრამაში შეფასების მექნიზმიც არის, რომელიც ჩადებულია სხვადასხვა სილაბუსებში. თინათინ დათიაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს განვითარებადი პროცესია. სანამ მოხდება პროგრამის 4 წლიანი ციკლის დასრულება, შეფასების თითოეული ეტაპი აჩვენებს თუ როგორ მუშაობს ის. მე-7 სწავლის შედეგეთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ჩადებულია საგნები ყველა სპეციალიზაციის მიმართულებით. ტრანსპორტის, ჰიდროტექნიკის და ჰიდროინჟინერიის საგნებმა თავის თავზე აიღეს ამ სწავლის შედეგის განვითარება. ალექსანდრე დავითაშვილმა პრეზენტაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჯგუფს, რომელიც შედგება 3 ან 5 ადამიანისგან, ეძლევა ერთი თემა. ისინი ამუშავებენ ამ თემას და წერენ ტექსტს, რომელსაც პერეზენტაციის სახით წარმოადგენენ. პრეზენტაციას 1,2 ან 3 ადამიანი წარმოადგენს. შემდეგ ხდება მათი შეფასება როგორც ლექტორის, ისე სტუდენტების მიერ. საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ საინტერესო სილაბუსს წარმოადგენდა „მშენებლობის მეთოდები“. მისი თქმით, საგანი პროგრამის სწავლის პირველი შედეგის გარდა, ყველა დანარჩენ სწავლის შედეგზე გადიოდა. სილაბუსში შეფასების მეთოდებად, შეფასების ფორმატში ძირითადად განსაზღვრულია მიმდინარე აქტივობა და ზეპირი გამოკითხვა, რომელიც ჩაშლილია კრიტერიუმებად. მასში ასევე მოცემულია ფინალური გამოცდის ფორმატი. ის ასევე დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა დაზუსტდეს პროექტისა და დავალების პრეზენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ უპასუხა, რომ ყველაფერი იდეალურად არ იყო. თუ შუალედური გამოცდების შემდეგ კურსის ავტორი, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რაიმე ცვლილებას შეიტანდა, რა თქმა უნდა, დაწესებულება ამისთვის მზად იყო. მისი თქმით, ამ სილაბუსს ქონდა თავისი ადგილი სწავლის შეფასების მექანიზმიში და მომავალში შეიძლება დაექვემდებაროს გადახედვას კონკრეტულ შედეგებზე დაყრდნობით. როგორც ეკატერინე ნაცვლიშვილმა

აღნიშნა, სილაბუსში შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები არ ითვალისწინებდა პროექტს. მისი თქმით, შეიძლება ხარვეზი ყოფილიყო სილაბუსში. დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე დაეთანხმა მას და აღნიშნა, რომ მასში ცვლილებები არ განხორციელებულა. მშენებლობის მეთოდები იყო პროგრამის ძირითადი, წამყვანი საგანი. როდესაც სამშენებლო პროცესები მიმდინარეობს ადგილზე, ეს სასწავლო კურსი უნდა გადიოდეს ყველა შედეგზე იმიტომ, რომ მუშაობის პროცესის დროს დაცული უნდა იყოს შრომისა და გარემოს უსაფრთხოება. საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას. მისი თქმით, დაწესებულების მიერ სტუდენტების გაგზავნა ხდება პრაქტიკაზე. გარდა ამისა, პროგრამა ინგლისურენოვანია. ის დაინტერსდა, თუ რა ენაზე უტარდებათ პრაქტიკაზე წასულ სტუდენტებს პრაქტიკა. ასევე, დღიურების შევსება რომელ ენაზე ხდება. დავით მახვილაძემ უპასუხა, რომ სწავლების ენაზე ხორციელდება როგორც პრაქტიკა, ისე დღიურების შევსება. ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა წინასაპროექტო სასწავლო კურსის როლი და სტატუსი. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ წინასაპროექტო სასწავლო კურსი სავალდებულოა. მისი თქმით, სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამაში თავისუფალი კომპონენტი მთავრდება 36.4-თან. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტები განსხვავებული ფერითაა მოცემული პროგრამაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30

დასრულების დრო: 16:59

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

4.3 რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში (არა პირატული ვერსიები);

• რეკომენდირებულია ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის მიღმა და მათი გამოყენების ინსტრუქციები/გაიდლაინები განთავსებული იყოს საიტზე;

• რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.
5.3 ·სასურველია პროგრამის გარე ექსპერტის შეფასების დოკუმენტზე ყოველთვის იყოს დატანილი შესრულების თარიღი.

რჩევები:
1.სასურველია პროგრამის გარე ექსპერტის შეფასების დოკუმენტზე ყოველთვის იყოს დატანილი შესრულების თარიღი.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩატარებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა Construction
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N481 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მშენებლობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	Me-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი Master of Construction Engineering.
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - 0732

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. № 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნინო დონდოლაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა „მშენებლობა“, რომელიც აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 ივნისის N595603 გადაწყვეტილების შესაბამისად. მისი თქმით, 2022 წლის 4 მარტის აკრედიტაციის საბჭოზე, განიხილეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში, რის საფუძველზეც საბჭომ დაწესებულებას აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით განუსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება 5 თვის ვადაში. პროგრამაზე გაცემული იყო 3 რეკომენდაცია, კერძოდ:

1. რეკომენდებულია პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების ნაწილში ამოქმედდეს შიდა ხარისხის მექანიზმები
2. რეკომენდებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

3. ანტიპლაგიატის პროგრამის ნაწილში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის 50%-იანი ზღვარი.

მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ მონიტორინგისთვის წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება. მისი თქმით, მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ მასალებში, შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში, წარმოდგენილია სხვადასხვა დამსაქმებლების გამოხმაურებები. ამ კომპანიების თანამშრომლები მჭიდროდ თანამშრომლობენ სამშენებლო ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ჩართული იყვნენ პროგრამის მოდიფიკაციის პროცესში. ამდენად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბჭოს რეკომენდაცია, „ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში“, შესრულებულია. ამის თაობაზე დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შემდეგი მტკიცებულებები:

1. სამშენებლო კომპანიების გამოხმაურებები. დანართი 1;
2. შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი. დანართი 2;

როგორც მან აღნიშნა, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკულ, სამეცნიერო ,კვლევით, შემოქმედებით, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. მისი თქმით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“ ირკვევა, რომ მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით. დეკანი სამაგისტრო ნაშრომს გადასცემს პროგრამა Strikeplagiarism.com-ის საფაკულტეტო ოპერატორს მსგავსების ანგარიშის მოსამზადებლად. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობა ან და სხვა ნაშრომებიდან ნორმაზე მეტი ტექსტის ციტირება არის მაგისტრანტის დაცვაზე არდაშვების საფუძველი. გარდა ამისა, პლაგიატის არსებობა აგრეთვე არის მაგისტრანტზე ან/და მის ხელმძღვანელზე დისციპლინური ზემოქმედების საფუძველი. ამასთან მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი მასალებში მოცემულია, რომ სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კონტროლის გაძლიერების მიზნით, გადაიხედა მსგავსების კოეფიციენტის 50%-იანი ზღვარი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიღებულია მსგავსების კოეფიციენტის 35%-მდე დაწევის გადაწყვეტილება. ამის თაობაზე დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შემდეგი მტკიცებულებები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წერილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს, ქალბატონ თამარ მახარაშვილს;

ნინო დონდოლაძის თქმით, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების შეფასებას. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, რომლის #2 და #3 დანართებით არის მოწესრიგებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“ და „მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია“. გადმოგზავნილი სამაგისტრო ნაშრომების განხილვის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში, რომელთა დაცვები განხორციელდა 2022 წელს,

გაზრდილია უცხოენოვანი პუბლიკაციებისა და ლიტერატურის წილი და ისინი უმეტესად 2015-2021 წლებშია გამოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჭრილში, საუნივერსიტეტო დონეზე ამოქმედდა რამდენიმე დამატებითი ფილტრი. საუბარია პირად პასუხისმგებლობაზე, აკადემიურ დეპარტამენტსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურზე. მისი თქმით, თუკი რაიმე სტრუქტურას შემხებლობა აქვს ხარისხთან, ყველა ჩართულია თავისი წილი პასუხისმგებლობით დებულებების დონეზე. პლაგიატთან დაკავშირებით მან ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებამ თავისი ინიციატივით არ შეიტანა ცვლილებები. დაკავშირება მოხდა დაწესებულებასთან, რომელიც „სტრაიკ პლაგიატის“ ადმინისტრირებას ახორციელებს და ანაწილებს სხვადასხვა ქვეყანაში. დოქტორანტურის შემთხვევაში მიღებული პრაქტიკა არის 25%-ი მინიმალური და 30%-ი მაქსიმალური, ხოლო მაგისტრატურის შემთხევაში 30%-ი მინიმალური და 40%-ი მაქსიმალური. მისი თქმით, დოქტორანტურაში მოხდა ცვლილება და დაიწია 25%-ზე, ხოლო მაგისტრატურის შემთხვევაში მოხდა გაშუალება 35%-ის. დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, შრომის ბაზის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა თანამშრომლობა „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან“, სადაც 120 მსხვილი და საშუალო სამშენებლო სუბიექტია გაერთიანებული, თუმცა ამ რეკომენდაციის მიღების შემდეგ მობილიზება გაკეთდა დამსაქმებლებთან პირდაპირი კომინიკაციის გზით. მისი თქმით, სამივე რეკომენდაცია შესაძლებლობიდან გამომდინარე შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავჯდომარემ, ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, თუ რა ფორმით მოხდა უნივერსიტეტის მიერ კომუნიკაცია დამსაქმებლებთან. დაწესებულების წარმოამდგენელმა განმარტა, რომ პროგრამა იქნა გაგზავნილი „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციაში“, რომელიც განხილული იქნა ადგილზე ხელმძღვანელის მიერ. მისი თქმით, შედეგები აბსოლუტურად მისაღებია ნებისმიერი სამშენებლო კომპანიისთვის. ფაკულტეტს მოწვეული ჰყავდა რამდენიმე სამშენებლო კომპანია, როგორიც არის „ანაგი“, “აქსისი“ და ა.შ. განხილული იქნა საუნივერსიტეტო პროგრამა და მათ დაადასტურეს, რომ პროგრამა მიზნების შედეგებთან შესაბამისობაშია. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზარი დაუკმაყოფილებელია ჯერ კიდევ. მისი თქმით, ერთი წლის წინ ვერ მოიძებნა მე-4 კურსის სტუდენტი, რომელსაც ექნებოდა საშუალოზე ორჯერ მეტი ხელფასი. საბჭოს თავჯდომარემ ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ რომელ პოზიციაზე განიხილავს დამსაქმებელი სტუდენტს, რომელსაც სამაგისტრო პროგრამა აქვს დამთავრებული. დაწესებულების წარმოამდგენელმა განმარტა, რომ ძირითადად შრომის ბაზრიდან მოთხოვნა არის ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის საწყისი კურსის სტუდენტებზე. პროფესია არის ძვირადანაზღაურებადი. ამ შემთხვევაში სამაგისტრო საფეხური ძალიან მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიაში სულ სხვა ადგილი უჭირავს სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ სტუდენტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:18
დასრულების დრო: 17:26

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩატარებული არაგეგმური მონიტორინგის შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 17:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ნაცვლიშვილი ეკატერინე



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით